სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ, სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363.

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა შაბათს, 8 აგვისტოს.**

კვირას, 9 აგვისტოს სოფ. ბრილში (გორის მაზრა, სადგ. გომს ახლო) განისვენებულთ **თავ. ნიკოლოზ დავითის ძის** და **მისი მეუღლის ა-ბ. ნინოს თავ. ზაზიოლ** ბეზუთაშვილის ასულის, სულის მოსახსენებლად გარდაიხდიან **წლის წირვას და პანაშვიდს**, რასაც განისვენებულთა ოჯახი აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ.
პანაშვიდის დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. (1—1)

სახალხო თეატრი

მიხეილოვის ქუჩაზედ საზაფხულო თეატრი მადერის ბაღში (იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ) პარასკევს 7 აგვისტოს, ზ. მ. საფიროვი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

I

**მზის დაბნელება საქართველოში**
ნამდვილი კომედია სამ მოქ. ანტონოვისა.

**დივერტისმენტი ლეკური**

დასასრულ იქნება ნაჩვენები დღონ მარისისაგან, სინემატოგრაფიული ლიუმერისა ბუნდოვანი სურათები.
ადგილების ფასი: 10 კაპ. მანეთ ნახევრამდი
დასაწყისი $9^1/_2$ საათზედ.

Ресторанъ «Южные номера» *обѣдъ и ужинъ*

ახლად გამართული რესტორანი
**„იუჟნი ნომერა“**
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ̃ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
—— ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა ——
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
**ფასი ყველაფრისა იაფია**
(30—13) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» *обѣдъ и ужинъ, дешевизна*

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი
**არმაზი**
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
**ყველაფერი იაფად**
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—25) გ. ჩხარტიშვილი



**კურსი 15 მანათი**
1-ლ ენკენისთვიდან ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
✦ საწყალ ქართველ მოწაფეთ უფასოდ ✦
მსურველთ მიჰმართონ კავკასიის საამხანაგო აფთიაქის სავაჭროში ერევნის მოედანზე **ელიზბარ ჯაჯანაშვილს.**
იქვე ისყიდება ყოველივე მოწყობილება ფოტოგრაფიულ ხელობისა. (6—4)

**ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ**



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა **„შრომა“.**
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შეკვეთას და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლოს, სახურათმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შეზლონგისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირ ხის საქონელს.
მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე დადგენილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკ ყურადღებას მიაქცევს, რომ ავეჯეები ერთი და იგივე იყოს ყველასთვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა **„შრომის“** ამხანაგობისა.
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—22)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებში, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა
**მარინესი**
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამაძისა
**ფასი ერთი შაური**
(10—2)

ქ. ქუთაისში ოქტომბრის პირველ რიცხვებში გამოვა
**ღელე**
[მასრულა] (3—1)

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაციევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **მისაღები გამოცდა ქუთაისის სამკურ. სასწ.** ქუთაისის სამკურნეო სასწავლებელში მისაღები გამოცდა დაიწყება 23 სექტემბერს. თხოვნა უნდა შემოიტანონ მშობლის ან მზრუნველის სახელზე. ვინც სასწავლებელში მიღებული იქმნება, იმან უსათუოდ უნდა იხადოს სასწავლებლის ფული თავის დროზე: 1-ლ ოქტომბერს 60 მან. და 1-ლ აპრილს 60 მან.; გარდა ამისა შამოსვლისთანავე პანსიონში უნდა შემოიტანოს 5 მან. გირაო. გირაო მოეთხოვება აგრეთვე იმასაც, რომელიც სახელმწიფო ხარჯზე იქნება მიღებული. თუმცაღა სასწავლებელში მოწაფე ღებულობს ზემოხსენებულ ფულით ტანსა და ფეხ-საცმელს, საჭმელს და სწავლას, მაგრამ პირველად, სანამდის ტანისამოსს სასწავლებელი შეუკერავდეს, მოწაფეს უსათუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი ორი ხელი გამოსაცვლელი და ფეხსაცმელი.

აქ არ შემიძლია არ დავსძინო ერთი ფრიად უსიამოვნო გარემოება, რომელიც საშინლად აფერხებს საქმეს.

მშობლებს შემოაქვთ ფული პირველად თავის დროზე, მაგრამ შემდეგ შეგირდებს გზავნიან სასწავლებელში უფულოდ იმ იმედით, რომ სახელმწიფოთ მიიღებენო და რადგანაც სახელმწიფოთ მოწაფეები ვერ შემოდიან თავის დრომდე და უფულოდ ბავშვებს არ ღებულობენ სასწავლებელში, უპატრონო და კარგად მოსწავლე ყმაწვილები კვირაობით და თვეობითაც დაეხეტებიან ქალაქში, ზნეობით ფუჭდებიან და უსარგებლოდ ხდებიან, როგორც მშობლებისათვის, აგრეთვე სასწავლებლისათვისაც. ამისთვის უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამისთანა გარემოების ასაცილებლად სასწავლებლის რჩევის გადაწყვეტით უსაქმური შეგირდები გადაეცემიან პოლიციას მშობლებთან გასაგზავნათ. იმედია ამას ყურადღებას მიაქცევენ მშობლები და თავიდან გულს არ გაუტეხენ თავიანთ შვილებს, კარგად გაიგებენ სასწავლებლის კანონებს.

დ. მ. მმართველისა ნ. მკურნალი

*** **თავგასული მეწვრილმანე.** ნაძალადევის პირველ ქუჩაზე ერთი მეწვრილმანე გვყავს, რომლის თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ისეთი უწმაწური ლაპარაკი იცის, რომ ახლო არ გაევლება არც ერთ დედაკაცს და ყმაწვილს. სასურველია ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს და ალაგმავდნენ უწესრიგო და უწმაწურ მეწვრილმანეს.

*** **უგანათლებულესი თავადი გ. მ. იმერეტინსკი,** ინჟინერ-ტეხნოლოგი ლ. ტ. პიატაკოვი და ინჟინერ-ტეხნოლოგი პ. ვ. პუსტინსკი აარსებენ ამხანაგობას ჭარხალშაქრის ქარხნის გასამართავად და შესანახად ვიშნევეცკის მამულში, რომელიც ეკუთვნის უგანათლებულეს კნეინას ლ. ნ. იმერეტინსკისისას ჱ რომელიც იმყოფება ვოლინის გუბერნიაში. ძირითადი თანხა ამხანაგობისა უდრის 500,000 მან. (500 პაი, თითო—1,000 მ.)

*** **ხმოსნის ლაზ. ტიგრანოვის საქმე.** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ მიიღო სასამართლოს პროკურორისაგან საქმე და საბრალმდებლო ოქმი იმის შესახებ, რომ მიცემულ იქმნეს სამართალში ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი აქაური აზნაური ლაზარე ტიგრანოვი, რომელსაც ბრალდება, რომ 15 ივნ. 1898 წ., ქალაქის საბჭოს სხდომის დროს, მან შეურაცხყო უმართებულო სიტყვებით ტფილისის ქალაქის მოურავი.

*** **კავკასიის ტყის წარმოების საქმე.** მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს შეუდგეს ტყეების წარმოებას. ამასთან, რადგან ხე-ტყის გადასაზიდავი გზები აქ სრულიად არ არის, განზრახულია ასეთი გზების გაყვანა კავკასიის სახაზინო ტყეებში.

*** **გაჭრის თავგასულობა.** ტფილისის მცხოვრებს ალ. პარზიანცს ერევნის მოედანზე შადინოვის სარძეოში უყიდნია ერთი გირვანქა ყველი ორ აბაზად. მას ყიდვის დროს არ გაუშინჯავს ყველი და მხოლოდ შინ აღმოუჩენია მასში აუარებელი მატლი. მაშინვე გაბრუნებულა სარძეოში და უთხოვნია, ყველი გამომიცვალეთო, მაგრამ არამც თუ არ შეუსრულებიათ მისთვის ეს თხოვნა, არამედ წაურთმევიათ ყველი ჱ ფულიც აღარ დაუბრუნებიათ. „ტფ. ფურ.“)

*** **შენობის დაქირავება სკოლისათვის.** ქალაქის მესამე ახლად დასაარსებელ სკოლისთვისაც უკვე დაიქირავეს შენობა 900 მანეთად წლიურად. შერემეტიევისა და დიდუბის ქუჩების კუთხეში, (მე-10 განყ.), ბეჟუევის სახლში.

*** **მისაღები ეგზამენები.** ტფილისის მე-3 საქალებო გემნაზიაში მოხდება 27, 28 და 31 აგვისტოს; მოწაფენი მიიღებიან მხოლოდ მოსამზადებელსა და პირველს კლასში, რადგან დანარჩენ კლასებში არ არის თავისუფალი ადგილი. განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 24, 25 და 26 აგვისტოს.

*** **ს. ყიფიანის საქმე.** „ნოვ. ობ.“-ის სიტყვით, სამსონ ყიფიანს, რომელსაც ქუთაისის მომრიგებელმა სასამართლომ, პ. გელეიშვილის შეურაცხყოფის გამო, სამი კვირის სატუსაღო მიუსაჯა, ოლქის სასამართლოში გადააქვს საქმე.

*** **ტფილისის რეალურ სასწავლებელში** დანიშნიშნულია ეგზამენები ყველა საგნებში: 2 აგვისტოს—მოსამზადებელსა და პირველ კლასში, 22 აგვისტოს—მე-II და მე-III-ში, 24 აგვისტოს—მე-IV და მე-V-ში. ხოლო ახლად მისაღებ მოწაფეთა ეგზამენები მოხდება 26, 27 და 28 აგვისტოს.

*** **მათხოვრობის მოსპობა.** ტფილისის პოლიცმეისტერმა წარუდგინა ბ. გუბერნატორს თავისი მოსაზრებანი ტფილისში მათხოვრობის მოსპობის შესახებ.

*** **დ. ნაგომარი** (გურია) აქაური ბაზრობა. როგორც „ცნობის ფურცლის“ მკითხველებსაც მოეხსენებათ, აქ ყოველ წლობით იმართება ბაზრობა; იწყება 15 ივლისს და თავდება 30-ს. ამ დროს დიდძალი ვაჭარი იყრის თავს და არის ვაჭრობა გაჩაღებული. დიდძალს გაუსაღებელ საქონელს ასაღებენ ის დალოცვილები! ურიებს, რასაკვირველია, პირველი ადგილი უჭირავს ვაჭრობაში და უფრო-კი ხალხის მოტყუილებაში. ამის მაგალითი ყოველ წლობით მრავლად არის.

მშვიდობიანობა საკმაოდ იყო დაცული. წვიმებმა შეუშალა ხელი, თვარა ძალიანი ვაჭრობა ექნებოდათ ვაჭრებს წელსაც.

ამავე დროს ორი წარმოდგენა გაიმართა აქ საქველ-მოქმედო მიზნით სხვა-და-სხვა სცენის-მოყვარეთაგან. პირველად წარმოადგინეს „და ძმა“ და მეორედ „ციმბირელი“. საზოგადოდ გურიაში ძაან გახშირდა წარმოდგენების მართვა.

—ია ს.

*** **ს. კულაში** (ქვემო იმერეთი). **სამკითხველოს საჭიროება.** ს. კულაში არის ერთი საუკეთესო კუთხე ქუთაისის მაზრაში. იგი ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულია. ყოველივე ამტკიცებს, რომ კულაში ქონებრივად მდიდარია. გლეხკაცობა ასე თუ ისე უზრუნველ-ყოფილია, სუფთად ჩაცმულ-დახურული გამოდის, ცხოვრების ავი და კარგი შეიგნო. თავად-აზნაურობაზე ხომ ლაპარაკიც აღარ უნდა. გაიმართა ყოველგვარი ვაჭრობა, ბაზარი, დუქნები, ამას მოჰყვა აფთიაქი, მკურნალი და ფერშლები. იმართება სცენის-მოყვარეთაგან წარმოდგენა. ლამის ს. კულაში ქალაქად გადიქცეს. მაშ რაღა აკლია, ქალაქი რომ ვუწოდოთ? ჰო! მაგას კი ნუ მკითხავთ. ქუთაისის მაზრაში ბევრი ღარიბი სოფელია, მაგრამ ერთის მხრივ კულაშს სჯობია. გამართული აქვთ სამკითხველო წიგნთ-საცავი. აი ეს გახლავს უმთავრესი ნაკლი კულაშისა. აქაური ბანქოს თამაში, სმა ჩხუბი და კაცის კვლა გაზეთებშიაც ბევრჯერ წერებულა. სამკითხველოს წყალობით-კი ცუდი ჩვეულება შემცირდება. საჭიროა მხოლოდ სოფლის მოთავეებმა იკისრონ წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამართვა. არც ერთ სოფელში არ არის იმდენი თავად-აზნაურობა, რამდენიც ს. კულაშშია, რასაკვირველია, მოთხოვნილებაც იქნება წიგნებისა და ხელსაც შეუწყობენ სამკითხველოს დაარსებას წიგნებით თუ ფულით.

ევგენი ჩიჯავაძე

*** **ს. ჯუმათი** (ოზურ. მაზ.) **სწავლა-განათლების საქმე ჩვენში.** სოფ. ჯუმათში სწავლა-განათლება კარგს ნიადაგზე დგას. ჩვენ სოფელში არსებობს ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო და სამი თითო კლასიანი სამრევლო სკოლა, სამივე მოწაფეებით სავსენი არიან. ეხლა სურთ ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა გადააკეთონ ორ კლასიანათ, რომლის შესახებ დიდი მეცადინეობა აქვს აქაურ მამასახლისს და თითქმის ორი ნაწილი საზოგადოებისა თანხმობას უცხა-

დებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რამე შემწეობა აღმოუჩინა ხაზინამ ამ სკოლისათვის შენობის აგებაზე. სამინისტრო სკოლასთან საბოსტნე ადგილიც არის. ადგილობრივი მასწავლებელი დიდ იმედს აძლევდა თავის შეგირდებს მოსავლის შესახებ, მაგრამ იმედები ვერ გამართლდა.

— **ბანქობანას მოსპობა.** გასართობ მასალათ, რადგანაც წიგნთსაცავ-სამკითხველო ვერ დავაარსეთ აქ ბანქობანა გვქონდა გაჩაღებული. უქმე დღებს მთელი სოფლის მცხოვრებლები ბანქოს თამაშით ვატარებდით. მადლობის ღირსია ადგილობრივი მამასახლისი გოგუა, რომელმაც აღკრძალა სოფელში ბანქოს თამაში.

— **სასარგებლო გართობა.** დღეს ნაცვლათ ამისა გამოიგონეს ბურთაობა. ლაშის ღელის პირის მახლობლად აზ. ნ. და ს. კანდელაკების გაშლილი ადგილია, სოფელზე მოშენებულია ხეხილი და აქაური ვენახი, რომელიც მოგაგონებს ქალაქის ბაღს, სადაც ამ წლის აპრილის თვიდან იწყეს უქმე-უქმე დღეს თავის შეყრა ყმაწვილ კაცობამ და დააწესეს ბურთის თამაში; დასი გაყოფილია ორ პარტიათ, „ცოლიანებათ“ და „უცოლოებათ“ გააგორებენ ერთხელ დღეში ბურთს და რომელიც ლელოზე გაიტანს გამარჯვებაც მისია. შემდეგ გაიმართება ცეკვასიმღერა და ასეთს ტანის ვარჯიშობაში ატარებენ ყველა უქმეებს. ამ თამაშობაში მოდიან მხალგაზდობა გურიანთიდან, ჩოჩიათიდან და სხვა ახლო-მახლო სოფლებიდან. სასიამოვნო ის არის, რომ აქ ერთ აურ-ზაურს ვერ შეხვდებით და ყველანი ძმურის ალერსით და მეგობრულათ ნასიამოვნები საღამობით წავლენ თავ-თავის სახლში.

— **აბანოები.** ლაშის ღელის პირათ 1888 წ. მიწის ძვრის დროს ამოხეთქა მკლავის სისხო წყალი, რომელიც, როგორც მაზრის ექიმმა დაამტკიცა გოგირდის აბანოაო; ეს წყალი წელს ისევ ჩაშრა. ნაცვლათ ამისა ოთხს ადგილას აღმოჩნდა სხვა და სხვა ფერის და სუნის წყლები. ურიგო არ იქნება ვისიც ჯერ არს გასინჯავდნენ ამ წყლების თვისებას. შეიძლება წყლები აღმოჩნდნენ სასარგებლონი და მაშინ ვინმე ითავებს ამ წყლების აბანოებათ მორთვას. ჯუმათი ხომ სააგარაკო ადგილია, სადაც ექიმები ხშირათ ზაფხულობით გზავნიან ავათმყოფებს და ეს წყლებიც თუ სასარგებლონი აღმოჩნდა, მაშინ ბევრი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლები ასცილდებიან შორეულ აბანოებში სიარულს და ნასესხებ-ნავალები ფულების ფლანგვას.

ნოიპარეს ლაშისპირელი

*** **დ. ხონი.** გაჭირობა კვირაუქმე დღეებში. თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში ეღირსნენ ნოქრები კვირა-უქმე დღეობით თავისუფლებას, ყოველგან კეტავენ წირვის დროს მაინც დუქნებსა, ჩვენს ხონკი ში მიუხედავათ ბევრჯერ განმეორებულ ბრძანებისა და განკარგულებისა, დუქნები გაღებულია თვით იმისთანა დიდებულ დღეებშიც, როგორც შობა-აღდგომა და ახალწელიწადია, ნოქრები დუქნის ყაფაზას ვერ შორდებიან და, თავისუფლება-მოსვენება რომ არ ჩამოვთვალოთ, მოკლებულ არიან სარწმუნოებრივი გრძნობის დაკმაყოფილებას. ტყუილა კვირა-უქმე დღეებზე ხომ ლაპარაკიც მეტია!.. წელიწადები გადის და ნოქრები არამც თუ ზიარებას—ამ ქრისტიანეთა დიდებულ საიდუმლოს-ნუგეშს, არამედ ეკკლესიის ახლო დანახვასაც ველარ ეღირსებიან, თუ კი „ალამ“ არ გაგზავნა იქით რამე საქმეზე. ოთხი წლის წინად აქაურმა ნოქრებმა თვითონ მიმართეს სადაც ჯერ იყო თხოვნით; იმათი თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და რამოდენიმე თვის შემდეგ... დუქნების დაკეტვის საქმე დავიწყებას მიეცა. იმედია ადგილობრივი ადმინისტრაცია და პატივცემული ბოქაული ჯეროვან ყურადღებას იაქცევენ ნოქართა მდგომარეობას...

ნოქარი

*** **დ. ხობი** (სამეგრელო). ისევ ბორანის შესახებ. გაზეთებში არა ერთხელ დაიბეჭდა აქაურის მებორნის თავ-გასულობის ამბავი, რომლებშიაც მებორნეს ამხილებდნენ: ლამის ტყავი გააძროს მგზავრთო. ამ საგანზე „ცნ. ფურ.“-ის 572 №-ში ბ. ვანო ლოლუამ სამართლიანი შენიშვნა მისცა მებორნეს და მის ხრიკებსა, როგორც ეს ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ შეუნიშნავს, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც იმავე გაზეთის 592 №. მებორნე ალექსანდრე ჯორჯიკია თავს იმართლებს,—როდესაც მას იოტის ოდენა სიმართლე არ აქვს—ვითომც იგი პატიოსნურად ეპყრობოდეს მგზავრთ. მართალია, მკითხველ საზოგადოებასთან თავს იმართლებს, მაგრამ აქაურს საზოგადოებას, ე. ი. მთელს სამეგრელოსა და სვანეთ-აფხაზეთში მიმავალ მგზავრთ რას ეუბნება? იქნება იმათ კიდეც ემუქრებოდეს: მოიცა თქვენ, მაინც ჩემი სათლელი დუმა ხართო. დიდად ცდება ბ-ნი მებორნე, როდესაც იგი ამბობს: „ჩემგან ვის რა შეხვდა საწყენი“-ო. საწყენი? საწყენი დღეში ათასი, მაგრამ, რომელი ერთი ჩამოუთვალოთ? უეჭველია, თითონვე დამეთანხმება ალ. ჯო—კია, რომ, როდესაც წყალი წვიმისაგან აიმღვრევა, იგი ნიხრს უმატებს მგზავრთ. წყალი როცა ცოტ-ცოტად მომატებას იწყებს, ბორნის ფასიც თან და თან იწევს და ბოლოს მეტი რა გზაა, უნდა მისცე ის, რასაც გიბრძანებს. უკე თუ ნიხრით ამღვრეულ წყალში გასვლა შეუძლებელია, რატომ მომეტებული ფასით კი შეიძლება? ნუ თუ რაიმე მოსალოდნელს ხიფათს მომეტებული ფასები იხსნის მგზავთ უბედურებისაგან, თუ ჯიბის გასქელება ამის საბუთი. დღეს 30 კაპ. ახდევინებს მგზავრთ დატვირთულ ურემში თუ სხვაში, ხვალ 60 კაპ. და მეტსაც. ამისთანა პატარა მდინარეზე ასეთი ფასები მგზავრთათვის, როგორიც ალ. ჯო—კიას აქვს დაწესებული მთელს საქართველოში უფრო დიდს მდინარეშიაც არსად არ არის. აგრეთვე არსად არ არის, რომ მებორნე თვიურად გარიგებოდეს მედროგეს, მაგრამ ალ. ჯო—კიასაგან აბა ეს რა გასაკვირია! დასასრულ, იგი ბრძანებს: „ზუგდიდის და სენაკის მაზრაში ჩემს ბორანზე უკეთესი ბორანი არსად არ არის“-ო. ბორნები ყოველგან უკეთესებია მის-მიერ დასახელებულ ადგილებში, მაგრამ მათ ყოველთვის ერთი და იგივე ფასი აქვთ დაწესებული, ხოლო ალ. ჯო—კიას ბორანი მით არის იმათში უკეთესი, როგორც წყალი დიდობას დაიწყებს, მისი ბორნის ნიხრიც თან და თან მატულობს.

დაადოს მის ბორანს ისეთი ფასები, როგორც სხვაგანაა ხოლმე, რომ დარსა და ავდარში, ზამთარზაფხულ ერთ ფასად ატაროს მგზავრები და არა სათლელ დუმად გახადოს საბრალო ხალხი, თორემ თავის გამართლება იქ, სადაც სიმართლე არ მიუძღვის, დანაშაულობის გაორკეცებაა.

ტ. კოლხიდელი

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ. საზ. გამგეობამ მიიღო 1898 წლის ივლისის თვის განმავლობაში.

1, საწევრო ფული
ალექსანდრე სოლომონის
ძე ხახანაშვილისაგან 1897
და 1898 წ. . . . . . 12 —

2) შემოწირულობანი
1, სოლომონ იოსების ძე
ნაცვლიშვილისაგან . . 1—15
2, «Надежда»-ს დამზღვევი
საზოგადოების აგენტის
ივანე ჯაბადარისაგან . 10 35

სულ 11 — 50

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

## რედაქციისაგან

**ხობში** ვ. ლოლუას. თქვენი საპასუხო წერილი არ იბეჭდება, რადგან ამავე საგანზე უკვე ვბეჭდავთ კოლხიდელის წერილს უფრო ვრცლად.

**ქუთაისში** მ—ძეს. თქვენი წერილი საურთიერთო ბანკის შეშახებ დასაბეჭდათ მოუხერხებელია. ჩვენ ბანკის გამგეობა და საზოგადოთ მთელი ბანკის ადმინისტრაცია ყოვლად პატიოსან პირებად მიგვაჩნია, ხოლო შეუცდომელი არავინ არ არის.

# თეატრის მატიანე

**ქ. ოზურგეთი.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 2 აგვისტოს, სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს 3 მოქმ. დრამა „არსენა“ ალ. ყაზბეგისა და ვოდევილი ვ. გუნიასი „მონადირე“.

ამგვარი გმირული ზღაპრული პიესები ჩვენს ხალხს რომ ძლიერ მოსწონს, აშკარად დამტკიცდა ამ გასულს კვირას: მთელი ფარდული, რომელიც ამისთვის ააშენეს, სულ სავსე იყო, განსაკუთრებით იაფ-ფასიანი ადგილები.

პიესის შინაარსი ყველამ უწყის. ითამაშეს ჩვენმა ახალგაზდებმა კარგად: საუცხოვო იყო ნინოს როლში ქ-ნი ნ. ჯაყელი, რომელიც პირველად ვნახეთ დრამაში და ძლიერ მოგვეწონა. არა უშავდა რა აგრეთვე სიდონიას როლში ქ-ნ მიქელაძეს. სიცილით დახოცა საზოგადოება დ. ნაკაშიძემ სირაჯის როლში.

ძლიერ კარგად და ხელოვნებით შეასრულა ბ. ჭეიშვილმა გარსევან ამაყაძის როლი. სწორედ აქ დაგვიმტკიცა, რომ მას აქვს სასცენო ნიჭი და მოხერხება. ვ. ურუშაძე სწორედ შეუდარებელი იყო პეტრე მოურავის როლში; მის თამაშობას დაკვირვებაც ეტყობოდა და „როლით გამსჭვალვაც“. ოთხი წელიწადი იქნება, რაც სცენაზე თამაშობს და სწორედაც სინიდისიერად ასრულებს თავის როლებს.

გვარიანი იყო არსენას როლში ბ. შაქარიშვილი, მაგრამ ვერ დასძლია ჯეროვანად. დანარჩენები ყველანი თავ-თავის ალაგას იყვნენ.

ვოდევილი გემოვნებით ჩაატარეს და კარგი შთაბეჭდილებაც იქონია.

კარგად და სწორედ მოსაწონად შეასრულა ბ. ვ. ურუშაძემ ახალგაზდა მოარშიყეს როლი.

დასასრულ ბ. ს. თავ—ძემ ყურთა სმენა დაუტკბო და აალელვა საზოგადოება თავის ლექსის წაკითხვით.

დიდი მადლობის ღირსნი არიან გამგე წარმოდგენისა, რომელსაც დიდი შრომა მიუძღვის და ს. ჭეიშვილი, რომელმაც არ დაიზარა

და გვათხოვა ბრეზენტები და ფარდები „შუამავალის“ ამხანაგობისა.

დასასრულ, ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზდობას გამარჯვებას და წინსვლას.

დამსწრე კ—ძე

## ბისმარკიანი

რიცხვი „სამი“ ბისმარკის ცხოვრებაში. განსვენებული „რკინის კანცლერი“ მთელ თვის სიცოცხლეში დიდ მნიშვნელობას აწერდა რიცხვს „სამს“. რომელსაც მართლაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა მის ცხოვრებაში. თავადი ბისმარკი ემსახურებოდა სამ იმპერატორს, მონაწილეობას იღებდა სამს ომში, რომლებიც თვითონ მან გამოიწვია, და ხელი მოაწერა სამს ტრაქტატს; მან შეჰკრა თავის დროზე სამი იმპერატორის კავშირი, შემდეგ კი სამთა კავშირი; სამი ცხენი მოუკლეს ბისმარკს ომის დროს. ბისმარკმა დაიმსახურა სამი წოდება; გრაფისა, თავადისა და ჰერცოგისა; მას ჰქონდა სამი გვარი: ბისმარკი, შენგაუზენი და ლაუენბურგი; მისი საგვარეულო დერბი იყო სამყურა, რომელიც შეერთებული იყო ნაძვის სამ ფოთოლთან; მისი დევიზი იყო სამპიროვანი ძალა; ბისმარკს ჰყავდა სამი შვილი: ჰერბერტი, ვილჰელმი და მარიამი; ჰქონდა სამი უმთავრესი მამული: ფრიდრიხსრუე, შენჰაუზენი და ვარცინი; მისი საცხოვრებელი დაფასებულია სამ ათეულ მილიონად. კარიკატურის დამხატველები მას ჰხატავდნენ ყოველთვის სამი ბალნით თავზე; შინაგან პოლიტიკაში ბისმარკს ჰყავდა მთავარ მოწინააღმდეგეებად სამი დასი (პარტია): კონსერვატორები, ნაციონალ-ლიბერალები და ცენტრი.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლეფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—39)






ღვინის სარდაფი

## „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## იყალთო

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**

Князя Г. и Л. Макаевыхъ

подъ фирмой

## „ИКАЛТО“

Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—10)



ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**



## „ბავშვების მოკეთის“ შესახებ.





აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ.—ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—25)

პატივისცემით ალ. ნათაძე.



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сель хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—34)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია